

პენიტენციური ჯანდაცვა და პაციენტის უფლებები
პენიტენციურ დაწესებულებებში

ლევან ონიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში
სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო სამართლისა და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ გურჩიანი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლის ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2018

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დეკანს
ბატონ ირაკლი ფორჩხიძეს

ამავე უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მაგისტრანტის
ლევან ონიანის

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ნამუშევას, არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლევან ონიანი

20.06.2018

აბსტრაქტი

ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესში უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობას პენიტენციურ დაწესებულებებში. თავისუფლებააღკვეთილი პირები თავისთავად მოიაზრებიან განსაკუთრებული კატეგორიის ჯგუფებს შორის. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მქონე პატიმრები კი განსაკუთრებით მოწყვლადი კატეგორიის პატიმრები არიან. კვლევის მიზანია შესწავლილ იქნეს პენიტენციური ჯანდაცვის საერთაშორისო სტანდარტები და მათი ანალიზის შედეგად ხაზი გაესვას სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განთავსებული პატიმრების უფლებრივ მდგომარეობას და ზოგადად სისტემის წინაშე მდგარ გამოწვევებს.

ამ მიზნით ნაშრომში გაანალიზებულია ჯანდაცვის კუთხით საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებზე ხელმოწერით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობა. შესწავლილია საერთაშორისო თუ ადგილობრივი მონიტორინგის ორგანოების ანგარიშები სხვადასხვა ქვეყნებთან მიმართებაში. ზემოაღნიშნულის განზოგადებით კი ხაზი ესმევა ქვეყნის პენიტენციურ სისტემაში არსებულ მდგომარეობას.

განხილულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმრების მდგომარეობა პენიტენციურ დაწესებულებებში. ხაზი ესმევა პენიტენციურ სისტემის ფარგლებში შშმ პირის სტატუსის დადგენის შეუძლებლობას. პატიმრობაზე ადაპტირებული ზრუნვის სტანდარტის არარსებობასა და ინფრასტრუქტურულ პრობლემებს.

ნაშრომში მიმოხილულია ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრების მდგომარეობა. მათდამი მოპყრობის საკითხები. დაწესებულებებში სუიციდისა და სხვა აუტოაგრესიული ქმედებების პრევენციის მიზნით გატარებული თუ გასატარებელი ღონისძიებები.

ხაზი ესმევა პაციენტების უფლებებს ისეთი დაავადებების მკურნალობისა და პრევენციის კუთხით, რომლებიც განსაკუთრებით გავრცელებულია ციხეებში.

საკვლევი თემის პრაქტიკულ ჭრილში განხილვისას მნიშვნელოვანი როლი ეთმობა ავტორის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მონიტორინგის სამმართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით მუშაობის შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევის ძირითადი ნაწილი ჩატარებულია პრაქტიკული კვლევის მეთოდით, რაც იძლევა მეტ შესაძლებლობას არსებული მდგომარეობის უკეთესად წარმოჩენის კუთხით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომში გახნილული საკითხების და დასკვნების ანალიზით შესაძლებელი იქნება სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შეფასება, რაც გარკვეულ წვლილს შეიტანს საკვლევი პრობლემის ირგვლილ არსებული ცოდნის გარღმავებაში, როგორც უშუალოდ პენიტენციური სისტემის თანამშრომლებისთვის, ასევე პატიმრების უფლებების მდგომარეობის შემსწავლელი ადგილობრივი მონიტორინგის ორგანოებისთვის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ადამიანის უფლებები, ჯანდაცვა, პატიმარი, პენიტენციური, შეზღუდული შესაძლებლობები, სუიციდი, პრევენცია.

Abstract

Human right protection in penitential facilities has a great role in country's democratization process. Group of prisoners is considered as a different specific type. Prisoners with health problems are especially vulnerable category. The aim of this research is to study international standards of penitential healthcare. After analyzing the research results penitential prisoner rights, their common state and general challenges should be assessed.

Georgia has signed international agreements and has some kind of obligations. The quality of performing these duties is analyzed in this piece of work. International and local monitoring organs have been studied in connection with different countries. By generalizing all of this state penitential system condition is assessed.

Conditions of limited capability person in penitential facility is discussed. It's impossible to conclude the status of limited possibilities in penitential facilities. Problems regarding nonexistence of prisoner care and infrastructure are also reviewed.

Conditions and taking care of prisoners with mental problems are discussed in this piece, as well as efforts made to prevent suicides and auto-aggressive actions in facilities.

There are different types of diseases that are especially common in prisons. Treating and preventing these exact diseases is important and is discussed in this article.

In order to discuss this matter as a practical case, we have to pay serious attention to the information gained by group monitoring human rights in penitential and probation ministry. The main part of the research is performed using practical methods. This gives more possibilities to process existed conditions.

Analyzing matters and conclusions reviewed in this piece makes it possible to assess the challenges for penitential system in cases like this. This fact will make a difference in deepening knowledge around this problem for penitential organs' and also for local monitoring department's staff.

Main search words: human rights, healthcare, prisoner, penitential, limited possibilities, suicide, prevention.